




საქართველოს



 **დაარსებულია 1918 წელს.** 

პარასკევი, 30 იანვარი, 2009 წელი
№17

რესპუბლიკა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭო, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი –

ირაკლი იოსების-ძე ღუდუშაური

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ირაკლი ღუდუშაური

დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა ტექნიკურმა მეცნიერებამ, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ღუდუშაური.

ი.ღუდუშაური დაიბადა 1925 წლის 15 მაისს ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში. 1945 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა დაბა ყაზბეგში და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. სამშენებლო საქმის ინსტიტუტის ასპირანტურის კურსის გავლის მიზნით ის მივლინებულ იქნა ქმოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მისი ხელმძღვანელი იყო აკადემიკოსი მ.გორბუნოვ-პასადოვი.

1954 წელს ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რთული კვეთიანი ფილების ღუნვაზე გაანგარიშების მეთოდი“.

ასპირანტურის დამთავრებისა და საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ ი.ღუდუშაური ბრუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1961 წლიდან ენერგეტიკულ ნაგებობათა თეორიული კვლევის განყოფილების გამგედ. ამ ინსტიტუტში მან მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს ნაგებობათა თეორიის სხვადასხვა აქტუალური მიმართულებით. ამ პერიოდში ასევე აღსანიშნავია მისი აქტიური მონაწილეობა საქართველოს ისტორიული ძეგლების (მცხეთის ჯვრის ტაძრის, ბაგრატის ტაძრის, უფლისციხისა და სხვ.) ფიზიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში.

1967 წელს ი.ღუდუშაური იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „თაღოვანი კაშხლების დაპროექტებისა და დეფორმაციული მდგომარეობის გამოკვლევა ფიქტიურ ორთოტროპულ სისტემათა შერწყმის გზით“. 1970 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1975 წელს ქ.გდანსკის (პოლონეთი) პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიწვევით ი.ღუდუშაური კითხულობს ლექციების ციკლს მის მიერ დამუშავებულ თეორიაში.

1996 წელს იგი არჩეულ იქნა საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად.

1997 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. წლების განმავლობაში იგი იყო გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების ბიუროს წევრი. 1998 წლიდან ი.ღუდუშაური დაუბრუნდა კ.ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტს, სადაც იგი მოღვაწეობდა გარდაცვალებამდე.

მნიშვნელოვანია ი.ღუდუშაურის მოღვაწეობა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის მასშტაბით გამძლეობის და დრეკადობის თეორიის კათედრაზე, სადაც 1957 წლიდან უწყვეტად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1996 წლიდან მას დაე-
გალა სამშენებლო მექანიკის სპეციალური კურსის წაკითხვა მაგისტრატურის მსმენელებისათვის, მის მიერ დამუშავებული ახალი თეორიის მიხედვით.

ათეული წლების განმავლობაში ი.ღუდუშაური იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ენერგეტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოების წევრი.

1999-2003 წლებში ბატონი ირაკლი არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც იგი ხელმძღვანელობდა მეცნიერების ქვეკომიტეტს.

პროფესორ ი.ღუდუშაურის მრავალმხრივ მეცნიერულ კვლევებში ცალკე უნდა გამოიყოს მისი ღვაწლი გასული საუკუნის 60-იან წლებში ენგურის თაღო-
ვანი კაშხლის პროექტირებისას შექმნილი ურთულესი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. სწორედ მის მიერ დამუშავებული მეთოდი დაედო საფუძ-
ვლად ენგურის კაშხლის გაანგარიშებას. მასვე 1967 წელს დაევალა ენგურის თაღოვანი კაშხლის ოპტიმალური ფორმის დადგენისათვის ყველა აუცილებელი გაანგარიშების ჩატარება, მათ შორის სეისმურ ზემოქმედებაზე. ამ მიზნით ი.ღუდუ-
შაურმა პირველად გამოიყენა უსასრულოდ მცირე ელემენტის მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს კლასიკურ დრეკადობის თეორიას, მისი არსის სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით. ბატონი ირაკლის მიერ ამ გზით შექმნილ იქნა დრეკადობის თეორიაში სრულიად ახალი და მეტად ეფექტური მიმართულება, რომელიც ამჟამად საკმაოდ ფართოდაა ცნობილი სახელწოდებით „დრეკადობის თეორია ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში“.

ბატონი ირაკლის მიერ ჩატარებული მრავალმხრივი გამოკვლევების ბუნებ-
რივ გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს მის მიერ დამუშავებული ზოგადი მიმართუ-
ლება – „უწყვეტ ტანთა მექანიკა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წლების განმავლობაში მიჩნე-
ული იყო ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. სწორედ მისი თეორიის გამო-
ყენებით გახდა შესაძლებელი გადაწყვეტილიყო რამდენიმე ისეთი ამოცანა, რომელ-
თათვისაც კლასიკური ჰიდრომექანიკის გამოყენებით მიღებულია მხოლოდ მიახ-
ლოებითი შედეგები. ი.ღუდუშაურის მეცნიერული კვლევის შედეგები თავმოყრილია 200-ზე მეტ მეცნიერულ შრომაში, მათ შორის 5 მონოგრაფიასა და 7 გამოგონებაში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 10-ზე მეტი საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი ირაკლის მთელი მოღვაწეობის მიზანი ჩამოყალიბებულია მის ცხოვ-
რებისეულ კრედიოში – „სწრაფვა ისეთი მეცნიერული მიზნებისაკენ, რომლის მიღ-
წევით მნიშვნელოვანი წვლილი იქნება შეტანილი ჩემი სამშობლოს დიდების საქ-
მეში“.

ბატონი ირაკლი ღუდუშაურის მეცნიერულმა შედეგებმა და პიროვნულმა თვისებებმა განაპირობეს მისი დიდი ავტორიტეტი საზოგადოებაში. მისი, როგორც პატრიოტი ქართველის, ცნობილი მეცნიერის, კოლეგის, მეგობრისა და აღმზრდელის ნათელი ხსოვნა მუდმივად დარჩება იმ ადამიანების მესხიერებაში, ვინც მას იცნობდა.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის
პროცესების განყოფილება
კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდევობის
ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია*